შემჩერულია რომ ზოგიერთი საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოების არა კომპეტენტური პირები მიმართავენ გამასწორებელ სახლების უფროსებს უბრალო ბარათით და მოითხოვენ პატიმართა ამ ორგანოების განკარგულებაში გადაგზავნას დასაკითხვად. ასეთ გარემოებას შესაძლებელია მოჰკვეს გაუგებრობა და პატიმარი გაქცევის მიზნით გაყვანილ იქნას გამასწორებელ სახლიდან ყალბი ბარათით. ამის გამო წინადადება გეძლევათ, გამასწორებელ სახლების უფროსებს, პატიმართა საგამომძიებლო და სასამართლოს ორგანოების განკარგულებაში დასაკითხავად გადაგზავნის დროს იხელმძღვა-

5 ელოთ შემდეგი წესით: უნდა მიექცეს ყურადღება რომ მოთხოვნილება იყოს ოფიციალური, ხელმოწერილი სათანადო ორგანოს პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელზედაც ირიცხება პატიმარი და ბეჭედ დასმული. ეს წესი სასტიკათ უნდა იყოს დაცული და მისი დარღვევისათვის დამნაშავე პირი მიცემული იქნება პასუხის გებაში.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის  
მოადგილე ტალახაძე.

საპატიმრო ადილ. უფროსი კავაბაძე.

ინსტრუქტორ-კონტროლიორი უუფარაძე.

25 მაისი, 1923 წ.

## ცირკულისარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომის მმაჩის ქვე-განყოფილებათა გამგებს.

დამატებით ჩვენი კირკულიარული განკარგულებისა ამა წლის 11 მაისის თარიღით № 11/128, თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის საქართველოში განმარტებისა ამა წლის 18 მაისის თარიღით № 5440/9348 გაცნობებთ სახელმძღვანელოთ, რომ თხოვნები შეტრიკული მოწმობის გაცემის შესახებ და თვით შეტრიკული ამოწერილობანი განთავისუფლებული არიან საღრეაბო გადასახადიდან იმ შემთხვევებში, როდესაც თხოვნებში გარკვევით იქნება აღნიშნული, რომ შეტრიკული ამოწერილობა ესაკიროება მთხოვნელს განათლების ორგანოში, სამხედრო ნაწილებში და სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში წარსაღვენად, ხოლო შეტრიკულ მოწმობაზე უნდა აღინიშნოს თუ რა საკიროებისათვის იქნა გაცემული მოწმობა.

აღნიშნული წესი გადასახადიდან განთავისუფლების შესახებ არ ვრცელდება სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 92 გათვალისწინებულ გადასახადზე.

შინ. საქ. სახ. კომის მოადგ. ტალახაძე.

სამოქალაქო განყოფილების გარე ცინცაძე.

26 მაისი, 1923 წ.

## ცირკულისარულად

სამაზრო აღმასკომებს,

საპატიმრო ადგილების შემთხვევების გაერთიანებას შესხებ.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ქვემდებარებულ კონტროლირების აღგილების მმართ

ველობის სისტემის საპიტიმრო ადგილების შოთავის სამმართველოს გამგებლებაში გაერთიანებისათვის განზრახულია სატუსალო სახლები (აрестნის დომა), რომელებიც ამ უამაღ იმყოფებიან მიღიცის განკარგულებაში, გადაეცეს საპატიმრო ადგილების მთავარ სამმართველოს.

ამის გამო გთხოვთ გვაცნობოთ:

1) არის თუ არა თქვენდამი რწმუნებულ მაზრაში სატუსალო სახლი.

2) რა მასალიდან არის აშენებული სატუსალო სახლის შენობა, რამდენ სართულიანია, რამდენ კაცს იტევს ნორმალურად და რამდენათ შეეფერება თავის დანიშნულებას.

3) პატიმრთა მოძრაობის საშუალო რიცხვი თვეში, რა გვარი დანაშაულის პატიმრები არიან მთავესებული სატუსალოში, რომელ გამასწორებელ სახლში იგზავნებიან მძიმე დანაშაულისათვის შეპყრობილი პატიმრები.

4) საპატიმრო აღგილების პირადი შემადგენლობა.

5) რამდენათ შიზანშეწონილია სატუსალო სახლი გადაკეთებულ იქნას საპატიმრო აღგილათ.

შინ. საქ. სახ. კომის. მოადგ. ტალახაძე.

საპატიმრო აღგილების მთავარ სამართველოს უფროსი კავაბაძე.

ინსტრუქტორ-კონტროლიორი ს. უუფარაძე.

28 მაისი, 1923 წ.

## ცირკულისარულად

ყველა მაზრის და ქალაქის აღმასკომის თაგმჯდომარეს (კომუნალურ მეურნეობის განყოფილებისათვის).

სოფელის შიწის შშრობელ გდეხების მიერ მოსკოვის სასოფლო-მეურნეობის გამთვევაზე მონაწილეობის შიღების შესახებ.

მიმდინარე წლის აგვისტოში შოსკოვში გაიხსნება სოფლის მეურნეობის და შინა-მერეწველობის გამოფენა, რომელსაც, სხვა მნიშვნელობათა გარდა, აქვს ჩვენებითი მნიშვნელობაც (პიკაპეტების ვაჭრები).

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი საკიროდ სუნობს რა, რათა აღნიშნულმა გამოფენამ მიიზიდოს სოფლის მიწის მშრომელთა ფართო მასები, წინადადებას გაძლევთ აღმასკომის მიწათმოქმედების განყოფილებასთან ერთად მათი აგრძნობის ან ინსტრუქტორების სახლო მიიღოთ ზომები მიწის მშრომელთა ფართე მასების გამოფენით დაინტერესებისათვის და შეძლების დაგვარად მა-

ტერიალური დახმარებითაც შეუწყოთ ხელი, რომ თვითეულ თემიდან თუ არა, რამდენიმე თემზე თითო წარმომადგენელი მიწის მუშა-გლეხი მაინც გაიგზავნოს მოსკოვის გამოფენაზე.

ექსკურსანტებისათვის ამჟამად მიცემულია შემდეგი შეღავათები: რკინის გზაზე იხდიან ბილეთის ღირებულების მხოლოდ 25-ს და მოსკოვში უფასოთ მიეცემათ ბინა სამი დღის განმავლობაში; მიღებულია ზომები, რომ საქართველოში ექსკურსანტებისათვის რკინის გზის ღირებულების ფასი შემცირებული იყოს  $90^{\circ}/_{\text{o}}$ -ით და მოსკოვში უფასოთ ბინა მიეცეთ ექვსი დღის განმავლობაში.

საჭირო ვსოფლით აღვნიშნოთ, რომ გამოფენის დასათვალი იერებული და გზაში სამყოფად უნდა ნაანგარიშეთ იყოს 30 დღე.

აღვნიშნავთ რა ზემოხსენებულს. წინადადებას გაძლიერეთ არა უგვიანეს ამა წლის მაისის 27-სა გვაცნობოთ.

1. ოქვენდამი რწმუნებულ მაზრიდან რამდენი მიწის მშრომელი გლეხი მოისურვებს მოსკოვის გამოფენაზე გამგზავრებას.

2. ამიერ კავკასიის რკინის გზის რომელ საღურზე ჩასხდებიან თქვენი მაზრის ექსკურსანტები და

3. თქვენი მაზრის ექსკურსანტებისათვის რომელ რიცხვში უფრო მოსახერხებელია ექსკურსით გამგზავრება.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ექსკურსისათვის საჭირო ხარჯები უნდა იქნას გადებული ექსკურსანტების ან აღმასკომის მიერ.

შინ. საქმ. სახ. კომის. მოადგ. ტალახაძე.

საქმეთა მმართველი ა. ცინცაძე.

კომუნალურ განყ. გამგე ნანეიშვილი.

18 მაისი 1923 წ.

## მიწადგრემენ. სახ. კომისარ.

რესპუბლიკაში საქონლის ჭირთან ბრძოლის დროებით წესდება.

1. საქონლის პატრონი მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ხელისუფლების დაწესებულებას ანუ პირდაპირ ექიმ-ვეტერინარს, როდესაც მის საქონელში აღმოჩნდება საეჭვო ავადმყოფი გადამდები სენის ნიშნებით, ან მოულოდნელად მომკვდარი.

2. დაწესებულება მიიღებს რა განცხადებას ავადმყოფ, ან მომკვდარ საქონლის შესახებ, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს დეპტშით, ან ტელეფონით, ან საგანგაბო კაცის გავზავნით და მის მოსევლამდის კი მიიღოს შემდეგი წინასწარი ზომები: ა) გამოაკალ-

კეცოს საღი საქონელი ავადმყოფებიდგან, ბ) ჩამარხოს შევდარი საქონელი განცალკევებულ არა-გას, რომელიც შემოფარგლული უნდა იყოს არა-ხით, ანუ ღობით, გ) ყრძალოს საქონლის გადარეკა და საქონლის ნეფლი მასალის და აგრძელვე თივის, ჩალის და ბზის გატანა სხვა სოფელში.

3 ექიმი ვეტერინარი ცნობის მიღებისათანავე საქონლის ავადმყოფობის შესახებ მოვალეა მიაშუროს იმ ადგილს და დაწესებულების წამომადგენლის და სოფლის მცხოვრებთა არა ნაკლებ ორის წარმომადგენლის თანადასწრებით გაშინჯოს ავადმყოფი საქონელი; თუ არის ლეში საქონლისა, განკვეთოს სენის გამოსარკვევად.

4. იმ შემთხვევაში როდესაც გარეგანი ნიშნები და დავდებულ საქონლისა ნათლად არ არიან გამოსახული და ექიმ-ვეტერინარი მოკლებულია საშუალებას გამოსთვეს საბოლოო აზრი ავადმყოფობის შესახებ, ღავადებული საქონელი გამოცალკევდება და მკაცრ ვეტერინარულ ზედამხედველობის ქვეშ ჩეხება იმ დროიდე, ვიდრო არ გამოააშკარავდება, ავადმყოფობის ხასიათი თუ შესაძლებელია მოიწვეოს მახლობელ შეზობელ ექიმ-ვეტერინარის სენის გამასარკვევად.

5. როდესაც გამოირკვევა საქონელზე ჭირის არსებობა, ექიმ-ვეტერინარმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ამის შესახებ ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ადგილობრივ ხელისუფლების დაწესებულებას და აგრეთვე მეზობელ რიონების ექიმ ვეტერინარებს, ამის გარდა უნდა მოწვიოს ჭირის მომსპობი აღმასრულებელი კომისია და დაწესოს კანონით და ამავე წესდებით ნაჩვენები ზომები ჭირის მოსასპობად.

6. ჭირის საქონელი აიცრება კომბენაციური მეთოდით: შრატით და სისხლით, აცრა საგალდებულოა დაჭირიანებულ სოფლის ყველა მსხვილ-ფეხა რეიან საქონლისა, ნაწილობრივ კი, ადგილობრივ პირობების მიხედვით და თუ სოფლის ყველა საქონლისათვის საქმაო შრატი არ მოიპოვება, იმ შემთხვევაში, როდესაც ექონომიური მიზეზების გამო შეუძლებელია დაჭირიანებულ სოფლის საქონლისაგან მახლობელ სოფლის საქონლის მოშორება, ეს სოფელი შეუკრთდება დაჭირიანებულ სოფელს და იქაც აუცილებლივ აიცრება საქონელი.

7. დაჭირიანებულ სოფელში აშკარად ავადმყოფი და სიცხე აწეული საქონელი ცალკევდება და თავსდება განსაკუთრებულ ბოსელში, ან მოლობილში.

**შენიშვნა 1:** აშკარა ავადმყოფად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც აშკარად ცტუმბა გარეგანი ნიშნები ჭირისა.

**შენიშვნა 2:** სიცხე აწეულად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც ექნება სიცხე 40 გრადუსამდე და მეტიც ცელსით.

8. აღმასრულებელ კიმისიაში შედიან ექიმი-ვეტერინარი — როგორც თავმჯდომარე, ხელისუფლე-

ბის დაწესებულების წანმომადგრელი და საქონლის ორი მემატრონე, ამორჩეული მცხოვრებთაგან. აღმასრულებელი კომისიის მოქმედება გრძელდება საკარანტინო წესების მოხსნამდის. კომისიის მოქმედებას არ აბრკოლებს ერთ-ერთი წევრის არ დასწრება, გარდა ექიმ-ვეტერინარისა. კომისიის ყველა თავის განახენი შეაქვს ოქმში, რომელზედაც ხელს აწერენ იქ დამსწრე წევრი: ასლი ოქმისა დაუყოვნებლივ ეგზავნება ვეტერინარ სანიტარულ განყოფილებას დაწესებულ ფორმით.

9. დაჭირიანებულ სოფელში აღმასრულებელი კომისია მოვალეა დაუყოვნებლივ მიიღოს შემდეგი ზომები:

ა) აღნიშნოს დაჭირიანებულ სოფლის საზღვრები, დაწესოს იმ საზღვრებში კარანტინი და შასზედ თვალყურის დაპერა დაავალოს აღმინისტრაციის და მცხოვრებთ.

ბ) შეადგინოს საქონლის საკომლო სია და დაწესოს საქონელზე სავეტერინარო ზედამხედველობა.

გ) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის ლეშის ჩასამარხავათ..

დ) დაწესოს სავალდებულო აკრა დაჭირიანებულ სოფლის საქონლისა.

ე) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის დასაბმელად და ასაცრელად, იზრუნოს ასაცრელი იარაღების, შრატის და სხვა ასაცრელ მასალების შენახვაზე.

**შენიშვნა 1:** საქონლის აკრის დროს ექიმ-ვეტერინარმა უნდა იხელმძღვანელოს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების მიერ გაცემულ ინტრუქციით.

**შენიშვნა 2:** მუშა ხალხი, ცხენები შესაბმელი საქონელი, თოკები, ხარიხები, საქონლის დასაბმელად, ბინა, გათბობა, განთება და მოსამსახურები, რაც საჭიროა კომისიისათვის მუშაობის დროს კარანტინის მოხსნამდე, შეაღების სოფლის მოვალეობას.

ვ) გაშინჯოს და გამოარევიოს ვეტერინარ-სანიტარული მდგომარეობა იმ სოფლებისა, რომელსაც რაიმე ეკონომიკური კავშირი აქვს დაჭირიანებულ სოფელთან და ექვს ბადებენ საქონლის ჭირის არსებობისას. თუ რომელიმე სოფელში აღმოჩნდა საექვთ ივალმყოფი საქონელი, ეს საქონელი უნდა გამოაცალკევოს დანარჩენ სოფლის საქონლიდგან და დააყენოს განსაკუთრებულ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ ამ გვარი გაშინჯვა ძიება უნდა დამავრდეს დაჩქარებით.

ზ) როგორც აკრა რაიმე მიზეზებით შეუძლებელია, აღმასრულებელი კომისია ახდენს სასტრიქიზოლიკურის ავალმყოფ საქონლისას და აწესებს საზოგადოთ კარანტინს.

10. დაჭირიანებულ სოფლიდან რეიან მსხვილ საქონლის გადარეკა სხვა ადგილს აკრძალულია იმ დრომდის, ვიდრე სოფელი არ იქნება გამოცხადებული სენისაგან განთავისუფლებლად. იმ შემ

თხვევაში—კი, როდესაც აუცილებელია საქონლის გადარეკა ჭირიან ადგილიდან სხვა ადგილის, კომისია ხელმძღვანელობს სამთაბარო საქონლის. წესების დების მე-12ე ს-ით.

11. საქონლის მორეკა საღ ადგილებიდგან დაჭირიანებულ სოფელში შეიძლება აღმასრულებელ კომისიის ნებართვით ან დასაკვლელად, ან და ასაცრელად: უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის მორეკა შესაძლებელია იმ პირობით, თუ აკრის შემდეგ მოსახერხებელი იქნება მისი განცალკევებითი შენახვა იმავე სოფელში, რათა კარანტინის გადა სოფლისათვის არ გავრდელდეს.

12. დაჭირიანებულ სოფელზედ რეიან მსხვილ საქონლის გარეკა აკრძალულია, გარეკა შეიძლება კომისისაგან ნაჩვენებ მოსავლელი გზით.

13. გატანა დაჭირიანებულ სოფლიდგან ტყავისა, ხორცისა, მატყლისა, რქისა, ჩლიქისა, თივისა, ბზისა და ჩალისა შესაძლებელია კომისიის ნებართვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება საშიში ჭირის გავრცელების მხრივ.

14. დიდ ქალაქებში საკარანტინო ზომების მიღება ნაწილობრივ დაჭირიანებულ უბნებში და-საშვებია მხოლოდ კომისიის დადგენილებით.

15. დაჭირიანებულ სოფელში საკლავ საქონელს სინჯავს ექიმი-ვეტერინარი დაკვლის დღეს.

16. საქონლის ბაზრობა, როგორც დაჭირიანებულ სოფელში, აგრეთვე იმ რაიონში, რომელიც მიჩნეულია კომისიისაგან საეჭვოდ ჭირის მხრივ. აკრძალულია სენის მოსპობამდის.

17. საქონლის ლეში უნდა ჩაიფლოს მიწაში 2 ნახ. არშინის სიღრმეზედ აღმასრულებელ კომისიისაგან ამორჩეულ ადგილზე, ამასთანავე ნება ეძლევა პატრონს ტყავი გააძროს ლეშს მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ტყავის დეზინფექციია მოსახერხებელი იქნება ექიმ-ვეტერინარის ნაჩვენებ შესით და მისივე პირადი ზედამხედველობით.

**შენიშვნა:** საქონლის ტყავის დეზინფექციისათვის საჭიროა სულემის ხსნილი 1,0:1000,0, რაშიაც ტყავი დაიტოვება ოკედა და თხით სათის განმილობაში.

18. დაჭირიანებულ ადგილებში ბოსლები და საქონლის სადგომები და იქ ნამყოფი საგნები უნდა დასუფთავდეს ექიმ-ვეტერინარის ჩვენებით, უმნიშვნელო იაფ-ფასიანი ნივთები-კი შეიძლება დაიწვას შეუფასებლად.

19. ის ადგილები, სადაც არც ასქონელი, გამოცხადებიან კარანტინიდგან განთავისუფლებულად 14 დღის შემდეგ, დღიდან რეაქციის გათავისებისა, ან უკანასკნელად მომკვდარ საქონლისა, რომელსაც აშკარად ეტყობა ჭირის გარეგანი ნიშნები.

20. ვიდრე კომისია გამოაცხადებს სოფელს ჭირისაგან განთავისუფლებლად, სოფელი მოვალეა შესარულოს კომისიის ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი.

21. კომისიის ყველა განკარგულების სისწო-

როთ ასრულებას თვალყურს ადევნებენ როგორც  
თვით აღმასრულებელ კომისიის წევრნი, აგრეთვე  
ადგილობრივი აღმინისტრაცია; წესების დამტლვე-  
ველი შეიცემიან სათანადო პასუხისმგებაში.  
შემადგენელების სახ. კომისარი გ. კანდელაკი.

## პ. შრომის სახ. კომისარი.

### დადგენილება № 16.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარია-  
ტის საქართ. რწმუნებულის სამმართველოს.

ზაფხულის თვეებში, სტუდენტთ-აგრონომებს,  
პრექტიკულ მუშაობის შესასრულებლად შვე-  
ბლების მიცემის შესახებ.

1. 1923 წლ. ზაფხულის თვეებში პრექტი-  
კულ სამუშაოს შესასრულებლად, იმ სტუდენტ-  
აგრონომებს, რომლებიც მსასურებენ სახელმწიფო,  
ან კერძო დაწესებულება წარმოებებში და აგრეთვე  
წითელ ლაშქარში — მიეკუთ შვებულება დღიდან,  
ამა წლის 1-ლ ნოემბრამდე. ერთ ლროულად ან  
პერიოდულად, მაგრამ თითოეულს არა უცემეს  
75 დღისა.

2. შვებულების დროს სტუდენტ-აგრონომებს  
წარმოება-დაწესებულებებში შეენახოთ სამსახური,  
შვებულებით გაცდენილ დღეებში ჯამავირის მიუ-  
ცემლად.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნულ მიზნისათვის შვე-  
ბულების მისაღებად კველა სტუდენტ-აგრონომი  
ვალდებულია წარმოება-დაწესებულებაში წარსად-  
გენად თიღოს სასწავლებლის აღმინისტრაციისაგან  
მოწმობა სადაც აღნიშნული უნდა იქნას მის უფ-  
ლება სავალდებულო პრექტიკულ მუშაობაზე წა-  
ვლისა და ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო  
დრო.

4. სასწავლებლიდან ბაქოთ მოწმობის წარ-  
დგენისთანავე წარმოება-დაწესებულების აღმინი-  
სტრაცია მოვალეა გაანთვისეულოს სამსახურიდან  
თავის თანამშრომელი (სტუდენტ-აგრონომი) იმ ვა-  
ლით, რომელიც ნაჩვენები იქნება სასწავლებლის  
მიერ მიცემულ მოწმობაში.

შენიშვნა, წარმოება-დაწესებულების ად-  
მინისტრაციას უფლება აქვს შვებულებაზე-  
უარი უთხრას სტუდენტ-აგრონომებს, თუ კი  
უკანასკნელი სასწავლებლიდან არ წარმოაღ-  
ენენ სათანადო მოწმობას.

5. შვებულების ვადის ვათვებისთანავე, თუ  
სტუდენტ-აგრონომი სამსახურში თავის დროზე არ  
გამოცხადდა რაიმე არა პატივსალებ შიზეზების გამო  
და ამის თაობაზე აღმინისტრაცია წინასწარ არ  
გააფრთხილა, უკანასკნელს უფლება აქვს დაითხო-  
ვოს ის, რაიც უნდა ეცნობოს ამიერ-კავკასიის შრო-  
მის სახ. კომ. საქ. რწმუნებულის სამმართველოს.

6. დადგენილება ეს ვაკერცელდეს განსაკუთ-  
რებით სახელმწიფო უნივერსიტეტის და პილიტე-

ნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო უფლებები  
ტერიტორიაზე და მიწად-მოქმედების სახელმწიფო  
ხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო კურსების  
მსმენელების.

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო  
კომისარიატის რწმუნ. საქართ. ა. იაზვილი.  
შეთანხმებულია: საქართ. პროფ. კავ.

საბოლოო მდივანი ს. ჯუდელი.  
საერთო-საორ. გან. გამგე ლ. ქურდოვანიძე.  
17 მაისი 1923 წ.

## არართული ციტატა. განეოფილება.

### მაზრების აღმასკომებული.

მოკლე მიმოხილვა სამაზრო აღმასკომით მო-  
ხენების მიხედვით.

### 3. ზუგდიდის მაზრა.

ზუგდიდის მაზრის შინამმართველობის განყო-  
ფილების მოხსენება წარმოლენილია 1923 წ. 7 ოქ-  
ტომების თარიღით. მოხსენების მიხედვით საანგა-  
რიშო პერიოდში აღმასკომი და მისი განყოფილე-  
ბანი უმთავრეს ყურადღებას აქცევდნენ მაზრაში და  
თემებში აღმასრულებელი აპარატების განმტკიცე-  
ბას და ბანდიტიზმის ლიკვიდაციას. მიმდინარე მუ-  
შაობა სწარმოებდა ინტენსიურად. შინამმართვე-  
ლობამ მიიღო ყველა საჭირო ზომები მიღიციასა  
და სათემო აღმასკომების გაჯანსაღებლად. გადა-  
ყენებულ იქნა რამოდენიმე სათემო აღმასკომის  
შემადგენლობა და დაინიშნა ახალი. ეს გადახალი-  
სება ზოგგან ნაწილობრივ ჩატარდა.

მაზრის აღმასკომის პლენუმსა და პრეზი-  
დიუმს პერიოდის სულ 39 სხდომა. განხილული 398  
საკითხი. განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნა-  
ვია: ცხენების შეგარის მაგიერ ფულადი კონცენ-  
საციის დაწესება, ტეხნიკუმისა და თეატრისთვის  
ბინების გამონახვა და სხვ. გადადებულ იქნა თაზურ-  
გეთ-ნორანების რკინის გზის ფანდის გასაძლიე-  
რებლად 100 ფუთი სიმინდი, განხილულ იქნა  
აგრედვე სენაკ-ზუგდიდის რკინისგზის გაყვანის სა-  
კითხი, რომელზედაც მუშაობს საგანვებო კომისია  
და სხვა მრავალი საყურადღებო საკითხი, რომელ-  
თა კარდინალურად გადაჭრამაც სასურველი და და-  
ღებითი ნაყოფი მოიტანა

საინსტრუქტორო-საინფორმაციო ქვეგანყო-  
ფილება განაგებს აგრედვე სათემო აღმასკომების  
საქმეებს და ხელმძღვანელობას უწევს მიღიციას  
შემადგენლობის საორგანიზაციო მუშაობას, თე-  
მებში და აგზავნის სათანადო ცირკულიარებს, გან-  
მარტივებებსა და აძლევს ინსტრუქციებს მაზრაში  
ჩამოსულ ამხანაგებს, მათი მუშაობის შესახებ.

მაზრის ქვეგანყოფილება უმთავრეს ყურა-  
დღებას აქცევდა თემებში თავისი ორგანიზაციის  
მტკიცედ ჩამოყალიბების. იგი ცირკულიარულ და  
პირად განმარტებებს აძლევდა ყველა თემის მმაჩის  
წარმომადგენელს, რათა თანამშრომლებს სავსებით

შეეგნოთ თავიანთი მოვალეობა და მტკიცე ნია-ლაგზე დაეყენებინათ აქტების წარმოების საქმე. ამ დარღვი მუშაობა სასურველად მიმდინარეობს თუმცა ზოგიერთ თემებიდან მიღებულ ჩასწერ წიგნებში შემჩნეულია დეფექტები, რომელთა გა-მოსასწორებლად ქვეგანყოფილება იღებს ენერგი-ულ ზომებს. თემებში ჯერ-ჯერობით სწაროებს მხოლოდ დაბადების, სიკვდილის და განკორწინე-ბის რეგისტრაცია. სხვა შემთხვევების ჩასწერას მაზ-რის მაშტაბით აწარმოებს თვით ქვეგანყოფილება.

საგაზრო მილიცია სდგას სათანადო სიმაღ-ლეზე და დიდ ენერგიას იჩენს მაზრაში მშენო-ბინობისა და წესრიგის დაცვაში. საანგარიშო პე-რიოდის განმავლობაში აღვილი ჰქონია სხვა და სხვა ხასიათის ბოროტმოქმედების სულ 104 შემ-თხვევას, აქედან აღმოჩენილია ბოროტმოქმედებათა დიდი ნაწილი და შეპყრობილია 48 ბრალდებული. ბანდიტებთან ბრძოლა წარმატებით მიმდინარეობს და არის იმედი, რომ მაზრა სულ მაღლ გაიწმინდე-ბა ბანდებისაგან. მილიციაში ითვლება 160 თანა-მშრომელი—აქედან 48 კომუნისტია, 8 კანდიდა-ტი და დანარჩენი-კი უპართიონი.

თემის აღმასკონტებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა საბჭოების და აღმასკონტების სხდომების სისტემატიურ წარმოებას. ამ დარღვიც მიღწეულ იქმნა წარმატება ინსტრუქტორების მოგზაურობისა და ცირკულიარების მიწოდების საშუალებით. ინსტრუქტორის ვარდა თემების ორგანოებს მო-გზაურობის დროს ხელშეღვანელობას უწევენ აგ-რედვე სამაზრო აღმასკომის წევრები.

მაზრის და თემის ხელისუფლების ორგა-ნოებს ურთიერთი მორის უთანხმოება არ მოსელი-ათ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მმართველობის განყოფილებას მოეთხოვოს გაუქმება, ან შეჩერება ისეთი დადგენილებებისა, რომელიც გამოტანილი იყო მაზრის აღმასკომის ქვემდებარე თრგანოე-ბის მიერ.

შიმშილობა მაზრაში არ არის. ეკლესიების აღწერა გათავებულია. სასურსათო გადასახადის აკრეფაში მმართველობის განყოფილება იღებდა მომაწილეობას.

შიმშილობა ჩატარებულ იქმნა განსა-კუთრებულ საადგილ-მამულო კომისიის მიერ.

განათლების დარგში სწარმოებდა ინტენსი-ური მუშაობა. ზუგდიდის მაზრაში დატოვებულ იქმნა 116 სკოლა და ორი ტეხნიკუმი. მასწავ-ლებელთა რიცხვი უდრის 326 კაცს. განყოფილე-ბაშ შეამდგომლობა აღძრა მასწავლებელთა კადრის 80 კაცით გადიდების შესახებ.

მაზრაში გზები წესიერ მდგომარეობაშია. ფოს-ტა-ტელეგრაფი და ტელეფონი დამაქაყოფილებ-ლად არის მოწყობილი.

შრომის ბეგარაზე სხვა-და-სხვა სამუშაოს შე-სასრულებლად გაყვანილ იქმნა 2770 კაცი და 106 ურები. შეკეთებულ იქმნა ტეხნიკუმის შენობა, ქალაქის სასაკლაო, ბორანი და გზები.

ჯანმრთელობის განყოფილება. უმთავრეს

ყურადღებას აქცევდა იმას, რომ შეენარჩუნებინა არსებული პუნქტები და სააგადმყოფოები შაზრა-ში არის სამი სავადმყოფო, 5 სხექტორ-პუნქტი და 15 საფერშლო. აფთიაქების წამლებით შესავ-სებად შეძენილია 335, 427,000 მანეთის მედიკა-მენტი. პუნქტებში აღდგენილ იქმნა სანიტარული სამუშაოები, რომელთაც ევალებათ ეპიდემიასთან ბრძოლა და სანიტარულ-ჰიგიენური ცოლის გავ-რცელება ფართე მასაში.

სდატისტიკურ ბიუროში, სახალხო სახ-მართლოებში და მეურნეობის დარგში მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა.

### თიანეთის მაზრა.

ამ მოხსენებაში მოკლედ წარმოდგენილია მაზ-რის აღმასკომისა და მის ქვემდებარე განყოფილე-ბათა მუშაობის ანგარიში 1922 წ. თემერვლიდან 1923 წ. წარტამდე. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში მაზრის მმართველო-ბის განყოფილებისა და თემების აღმასკომთა მოქ-მედება სუსტად სწარმოებდა, გამოცდილი მომუ-შავების ნაკლებობის გამო იმას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ მაზრის აღმასკომს არა ჰყავდა განსაკუთრებული ინსტრუქტორი, რომელიც მულ-მივ ხელმძღვანელობას გაუწევდა თემებს და მიაწ-ვდიდა მათ საქირო ცნობებსა და ინსტრუქტორებს. ამ მოვალეობის შესრულება უხდებოდა მაზრის აღ-მასკომის თავმჯდომარეს, რომელმაც შემოიარა რა-მოდენიმეჯერ მაზრის ყველა თემები და რაიონები და თავისი მუყაითი მუშაობით თემები დააყენა სა-თანადო სიმაღლეზე. ამ უადა დანიშნულია შინა-მმართველობის ახალი გამგე, რომელიც გამოც-დილი და მომადგებულია ამ დარგის მუშაობისა-თვის. მის დანიშნის შემდეგ საჭმე გაუმჯობესდა და მუშაობა გაცხოველდა.

მმართველობის განყოფილება — თავის მოღვა-წეობის დროს უმთავრეს ყურადღებას აქცევდა მაზ-რისა და რაიონილიცის განმტკიცებასა და თემების აღმასკომთა მოქმედებას.

მაზრის აღმასკომის საბჭოსა და პრეზიდიუმს. 1922 წლის განმავლობაში ჰქონდა სულ 38 სხდო-მა, განხილულია და გადაწყვეტილია მრავალი მნი-შვნელოვანი და წვრილმანი საკითხი. მაზრის ხე-ლისუფლების ორგანოებს შორის უთანხმოებას აღვილი არ ჰქონია. არ ყოფილა შემთხვევა, რომ მმართველობის განყოფილებას მოეთხოვოს გაუქ-მება აღმასკომის ქვემდებარე თრგანოების შიერ გა-მოცემულ დადგენილებათა. აღმასკომს, პარტკომსა და პოლიტ-ბიუროს შორის თანხმობა და კონტაქ-ტი დაცულია.

მილიცია, როგორც მაზრის, ისე რაიო-ნის მტკიცე დისკიპლინითა და თავისი მოვალეო-ბის შეგნებით დამაკმაყოფილებელია. ბანდიტიზმთან ბრძოლაში მაზრის მილიცია დიდ უნარიანობასა და ენერგიას იჩენდა.

საადგილ-მამულო განყოფილება 1921 წლი-დანვე შეუდგა მიწების მემამულეთაგან ჩამორთმე-ვას. მან 1922 წლში ჩამოართვა და დროებით

(მიწის დეკრეტის გამოცემაშედე) სარგებლობისა-  
თვის გლეხებს დაურიგა 1276 ლესეტინა პირა.  
გარდა ამისა მან გაანაწილა აგრედვე საეზოვო,  
საბოსტნე და საბალე აღვალები ახმეტაში და თია-  
ნეთში. საადგილო-მამულო კომისიაში 1922 წელში  
შემოვიდა 217 საჩივარი. აქედან გარჩეულია 158,  
განსაჩივრებულია 12 და განუხილველია 47. საადგ.  
განყოფილებაშ საფონდოდ ჩამოართვა 9 ს ხლი  
და წყლის ექვი წისქვილი.

განათლების განვითარება. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სკოლების მდგრადი განვითარების გაუმჯობესებას და სწავლა-განათლების საქმის გაფართოვებას. მაზრაში არის 11 სკოლა 32 მასწავლებელით. ყველა სასწავლებელთან გახსნილია წ.-კათხ. უკურნარობის სალიკვიდაციო სკოლები.

შოთა განყოფილების მუშაობა საშუალო  
ტემპით მიმდინარეობდა. ავ ხის განმვლობაში  
შეკეთებულ იქმნა თიანეთ-ახმეტის სახელმწიფო  
გზა რომელსაც დასკირდა 1000 მუშა და 160  
ტვირთსაზიდი. აღვილობრივი ხასიათის ბეგრის მო-  
სახლელად გამოყვანილ იქმნა 760 მუშა ხელი და  
1520 ტვირთსაზიდი. სხვადასხვა ორგანოების საკი-  
როებისათვის ბეგარაზე გამოყვანილია 3000 ცხენი.

კომუნალური განყოფილება საანგარიშო პერიოდში აწარმოებდა გზების, ხიდების და სხვა-და სხვა საქირო შენობების შეკეთებას. შენდება ასალი სათეატრო შენობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ძევს ასეთ განაპირო. მაზრისათვის.

მაზრის ხელისუფლების ორგანოებს როგორც  
ერთურთში, ისე სხვა მაზრის ორგანოებთან უთან-  
ხმოება არ მოსვლით. მაზრაში უსურსათობა იქნ,  
რადგან წარსული წლის სტიქიურმა უამინდობამ  
ძლიერ დაზარალა მოსავალი. ამის გამო გაზრდამ  
მთავრობისაგან დახმარების სახით მიიღო 2000 ფ.  
ხორბალი, რაიც დიდ დახმარება დუნდა ჩაითვალო.

მიღებულია ყოველგვარი ზომები მომავალში  
მუშა იბის ჯეროვანად წარმართვის სთვის.

## საბაზიმრო ადგილების სამშართველოში

1

რესპუბლიკის საპატიმრო დღის დღე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, ა/წ. 10 მარტის № 85 დადგენილების თანახმათ, გამოეყო იუსტიციის სახალხო კომისარიის და გადაეცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიის.

ბოროტ-მოქმედების გზაზე დამდგარ მოქალა-  
ქეს საბჭოთა ხელისუფლება ღრუებით ან ცალკე-  
ვებს სხვისუფლებითან, ათავსებს მას გამასწორე-

յոցըլուզ մ մոխենք զանսեռուցողեծութեալ  
շամեսիուրեցու սաելլութեալ մովուրունու սեցա და  
սեցա սացցեցուրու սկոլցու წյრա-კითხვու պարու-  
նաრთատვու წյრա-კითხվու սացցեցունու შეսեწა-  
ლաთ. წյრա-კითხրու պարունատვու ուցունսցալո  
մաრչաց კითხրու და წյრու შეսեցունցօնաთ, რათა  
Շյցելու սարցեցուն წոցնու და զանցու ու-  
նամցօնուց պետքրենք մոյր წամուցնցուլ სեյու-  
ხեցու զանսարկցաւ დ; աւթացլուն პոլուტուցն սացնե-  
ბն, ահութեցրու յա, զցոցհացու ս, օსტրուն და  
ոյութեալ լցէցու սեցա და սեցա տանամցօնուց  
ուղեցն, մարտցու წամուցնց յու და սեցա.

მეორე კაბინინალური საკითხია: პატიმრებში  
შრომისადმი ინტერესის გაღვიძება, მათი ფიზიკუ-  
რათ გაჯანსაღება. ამას აქვს ორნაირი მნიშვნელო-  
ბა; ერთის მხრივ იგი აჩვევს პატიმარს შრომის ას-  
წავლის სხვა და სხვა ხელობას, რომელიც გამოაღ-  
ება მას ცხოვრებაში განთავისულების შემდეგ;  
მეორეს მხრივ თავიანთი შრომით პატიმრები ჰქმიან  
ნიან ნითერ ლირებულებას, და სახელმწიფოს მა-  
თი შენახვა უადვილდება.

საპატიომჩო აღვილების საშმართველო ამ მხრივ  
დღიდ ინტენსიურ მუშაობას აწარმოებს. პროექტ-  
ციის გამასწორებელ სახლებში სწარმოებს სასოფ-  
ლო სამეცნიერო მუშაობა, დათესილია ხორბლეუ-  
ლობით, ქსიმინდით და ლობიოთი 150 ქცევამდე  
მიწა, აღებულია ბაღები და ვენახი დასამუშავებ-  
ლოთ, რომელ მუშაობაშიც ჩაბმულია პატიმართა  
საერთო რიცხვის 50%.

თბილისის № 1 გამასწორებელ სახლში მო-  
წყობილია მექანიკური სახელოსნო სხვა და ცნობილი  
ჩარხებით, მუშაობს ფეხსაცმელების და ტანსაცმელე-  
ბის სახელოსნოები და სხვა.

ზემო ავჭალაში გაგზავნილია ჰიდროელექტროსაბუღების მოსაწყობად ასამდე პატიმარი.

გამასწორებელ სახლებში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს პატიმართა გამოკვებას, ჩატანა-დახურვას, გათბობა-განათების და სანიტარული საკითხების სათანადოთ მოვეარებას. ამ მხრივ სამშარო-კელოს მიერ სათანადო ზომებია მიღებული, მხოლოდ თანხა, რომელიც სამშაროკელოს განკარგულებაში, იმყოფება ამ საჭიროებათა მოსაგვარებლად სამწუხაროდ მეტად მცირეა რასაც დიდი ყურალება უნდა მიექცეს.

შ.ს.ს.კ. „მოამბის“ საშუალებით შემდეგ ნუმრებში, გამოქვეყნებული იქნება მრავალი სტატი-სტიკური მასალა პატიმართა შესახებ, და საერთოდ ციხეების ცხოვრებიდან, რაც დიდ ინტერესს წარმოადგენს.. მკითხველთათვის

## გ ა ნ ც ხ ა დ ე პ ა ნ ი:

თანახმად № 62 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართ. რევოლ. კომიტეტის 1921 წ. 28 აპრილის ტფილისის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი ქვე-განყოფილება აცხადებს, რომ მოქალაქე თლიდა ნიკოლოზის ასულმა შერქესთდაშ შემორტანა განცხადება. მისი გვარის შერქესთდას ბერდიანზედ შეცვლის შესახებ.

ქვე-განყოფილების გამგე ა. შარაძე.

საქმის მწარმოებელის მაგ. ჩიქინიძე.

თანახმად № 68 მუხ. დეკრეტისა № 28 საქართვ. რევოლ. კომიტეტის სამმართველოს განყოფილების 1921 წ. 28 აპრილის ქ. ტფილისის აღმასრ. კომიტეტის მოქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი მაგიდა აცხადებს რომ ნიკოლოზ ბავლებს ქაჯესაშვილი. შემოიტანა განცხადება მისი სახელისა და გვარის საფა ხსხოგზე შეცვლის შესახებ.

მმაჩის გამგე თ. ი. გარაევი.

საქმის მწარმოებები ეკ. მაისურაძე.

თანახმად № 68 მუხ. დეკრეტისა № 27 საქართვ. რევოლ. კომიტეტის სამმართველ, განყოფილ.

1921 წელ. 28 აპრილ. 7. თბილის. აღმასრ. მიტ. მოქალაქ. მდგომარეობის აქტების ჩამწერი შედეგიდა აცხადებს რომ, ანტონი ივანეს ძე ხოდუშ შემოიტანა განცხადება მისი გვარის ხოდუშის ვიზეგ-სკიზე შეცვლის შესახებ.

მ. მ. მჩი გამგე რ. რ. კარაევი.

საქმის მწარ. ეკ. მაისურაძე.

**დაიპარბება** მეტრიკული ამონაწერი № 904 მიღებული 1885 წ. სინოდ. კანტორიდან შარაშ შეტრეს ასული რამაზოვის სახელზე. გაუქმებულია.

**დაიპარბება** მეტრიკული ამონაწერი № 1328 მიღებული მმაჩის განყოფილებიდან 1922 წ. სიფიო გორგვის ასული ელიაზაშვილის სახელზე. გაუქმებულია.

**დაიპარბება** მეტრიკული მმონაწერი № 361 მიღებული 1910 წ. სინოდ. კანტორიდან ნაკოლაშ დეთისავარის ძე გოგოლაურის სახელზე. გაუქმებულია.

**დაიპარბება** მეტრიკული ამონაწერი № 166 მიღებული 1904 წ. ალექსანდრე ქაჯაის სახელზე. გაუქმებულია.

**დაიპარბება** მეტრიკული ამონაწერი მიღებული 1922 წ. გაბრიელ მიხეილის ძე ქარემიძის სახელზე. გაუქმებულია.

**დაიპარბება** მეტრიკული ამონაწერი № 2743 მიღებული 1900 წ. სინოდ. კანტორიდან გეორგი ნიკოლოზის ძე ასრათოვის სახელზე. გაუქმებულია.

## მ ი ნ ა რ ს ი

მე-ქვე ქაბე მოთავსებული მასალებისა:

### ო ც ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ყ ი ც ი ლ ე ბ ა :

ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტი.

- დადგენილება—საძოვრებზე საიჯარო სასყიდლის ერთიან განაკვეთის დაწესების შესახებ.
- დადგენილება ა/კ. შიმშილობასთან ბრძოლის ცენტ. კომ. და სხვა ორგანიზაციებს და დაწ. ტვირთთათვის შეღავათის დაწესების შესახებ.

ა/კ. სახალხო კომისართა საბჭო.

- დეკრეტი—შრომის უნარდაკარგულობის შემთხვევაში მუშა-მოსამსახ. დამატებითი უზრუნველყოფის შესახებ.
- დადგენილება № 40, 41.
- ბრძანება—ამხ. ა. გეგევკორის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

საქართვ. სახალხო კომისართა საბჭო

6) დადგენილებანი № № 92, 93, 97, 98, 99, 100. შინაგან საქმეთა სახალხო კომისართა ტიპი.

7) ცირკულიარები (8 ცირკ.)

მიწათმოქმედების სახალხო კომისართა ტიპი.

8) რესპუბლიკაში საქონლის კირთან ბრძოლის ტროებითი წესდება.

ა/კ. შრომის სახალხო კომისართა ტიპი

9) დადგენილება № 16.

არაოციციალური განყოფილება:

1) მაზრების აღმასკომებში.

2) საპატიმრო აღგილების სამმართველოში.